

საქართველო
საგარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №2/7, 07.02.2020



ი. შარაბიძე

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიში

ND 2-O06-03

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი

ნ. ყურშუბაძე



სარჩევი

ნორმატიული ბაზა	3
გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
ძირითადი დებულებები	4
სტრუქტურული ცვლილებები	4
ახალი პროცედურები, დებულებები	0
მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი	10
ავტორიზაცია-რეკომენდაციების შესრულების ანგარიში უსდ	11
ავტორიზაცია-რეკომენდაციების შესრულების ანგარიში პროფესიული	12
პროგრამული აკრედიტაცია	14
საკრედიტაციო განაცხადი ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე	14
ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს	15
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო	16
პროექტების მართვა და ინტერნაციონალიზაცია	16
საერთაშორისო კონფერენციები	18
ელექტრონული საქმისწარმოება	18
დიპლომიერება	19
შესყიდვები	20
ფაკულტეტების საქმიანობის მიმოხილვითი ანგარიში	21
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	23
სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	24
პროფესიული პროგრამები და პროფესიული სტუდენტები	25
ბიბლიოთეკა	28
გავრცელების არე	31
დანართი - 1 სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი	

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბისის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი ინახული ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2– Q03;
2. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2–Q04–01;
3. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2–Q04–02;
4. შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა ND 2–Q04–03;
5. შეუსაბამობების მართვის პროცედურა ND 2–Q04–04;
6. მომსახურების მონიტორინგის პროცედურა ND 2–Q05–08;
7. იდენტიფიკაციის პროცედურა ND 2–Q05–09;
8. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2–Q05–03.

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. განმარტებები ტერმინები

1. პროცესი-რესურსებისა და საქმიანობის ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც მიწოდებულ საწყის მოცემულობას (შემავალს) გარდაქმნის საბოლოო პროდუქტად (გამოსასვლელად);
2. რესურსი-ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
3. ნორმატიული დოკუმენტი-შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
4. პერიოდული შემოწმება-არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;

2.2 შემოკლებები

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშენი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიონი“. რევიზია ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



3. ძირითადი დებულებები

- 3.1. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ანგარიშის განხილვა გაიმართა საზღვაო აკადემიის სენატის სხდომაზე 2019 წლის 15 თებერვალს.
- 3.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სენატის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა შემდეგი მონაცემები:
 1. სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე შემოწმების მასალები;
 2. აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა შემოწმების მასალები;
 3. მომხმარებელის კმაყოფილების დამადასტურებელი მასალები;
 4. პროცესების შესრულებისა და მათი შესაბამისობის დადასტურება (ფაკულტეტების, სამსახურების, სტრუქტურული ერთეულების, დეპარტამენტების, ცენტრების ანგარიშები);
 5. მონაცემები შიდა და გარე აუდიტების და მონიტორინგის შედეგების მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების სტატუსების შესახებ;
 6. მონაცემები წინმსწრები სისტემური ანალიზის სტატუსის შესახებ;
 7. მასალები სისტემური ცვლილების შესახებ;
 8. ნორმატიული დოკუმენტები: პოლიტიკა ხარისხის სფეროში, მიზნები ხარისხის სფეროში - შესრულების მაჩვენებლები, ახალი მიზნების ჩამოყალიბება
 9. გაუმჯობესების რეკომენდაციები.

სტრუქტურული ცვლილებები

საზღვაო აკადემიაში ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობის პირთა შორის, სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირი, სუბორდინაცია, კოორდინაცია, ანგარიშგება და პასუხისმგებლობები წარმოდგენილია საზღვაო აკადემიის სტრუქტურული სქემის სახით: <http://bsma.edu.ge/main/page/2-40/index.html>

საანგარიშო პერიოდში საზღვაო აკადემიაში არ განხორციელებულა სტრუქტურული რეორგანიზაცია, თუმცა შეფასდა სამსახურების მიერ ჩატარებული საქმიანობის შესაბამისობა დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად, განისაზღვრა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, მიმდინარე პროცესების ეფექტურობა და გაძლიერდა ქვედა რგოლების ჩართულობა საქმიანობის დაგეგმვის პროცესში, გაძლიერდა კომუნიკაციის მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებათა მარეგულირებელი ნორმების კორექტირება, რომელიც საზღვაო აკადემიის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროებიდან გამომდინარე, თანხვედრაში მოვიდა აკადემიის მიზნებთან და

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაცემის პრინციპზე პასუხისმგებელი პირის მოხელის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახურის პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი ინახული ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



სტრუქტურული ერთეულების (სასწავლო და ადმინისტრაციული) რეალურ საქმიანობასთან. გაძლიერდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია, კერძოდ გაძლიერდა სასწავლო აკადემიური დეპარტამენტების შიდა სტრუქტურულ უფლებამოსილებები. გადაიხედა და დაკორექტირდა ორგანიზაციული, ფუნდამენტალური და ხარისხის უზრუნველყოფის და მართვის პროცედურები.

აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურობის ამაღლების მიზნით გადაიხედა ფაკულტეტის დეკანის, დეკანის მოადგილეების, ფაკულტეტების ხარისხების უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების და პროგრამის ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობები.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მაქსიმალურად გაიმიჯნა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მოვალეობები. სასწავლო-პრაქტიკის გაძლიერების კუთხით პრაქტიკის მსვლელობის კონტორლი და მონიტორინგი დაევალა შესაბამის ფაკულტეტებს, კერძოდ ფაკულტეტის დეკანის მოადგილეებს.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის და საშტატო განრიგის პროექტი, რომლის შესაბამისად იგეგმება აკადემიური დეპარტამენტების გაძლიერება მათ მიერ არა მხოლოდ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, არამედ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით. აგრეთვე იგეგმება მიღებული დატვირთვების შემცირება იმ აკადემიური პერსონალისთვის, ვინც ჩართულია ადმინისტრაციულ და კვლევით საქმიანობაში ან /და მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში (ამ ეტაპზე მსგავსი შეღავათები მოქმედებს ადმინისტრაციულ თანამდებობზე დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის).

აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა არსებული სიტუაცია, გააანალიზა ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობა და შეაფასა თითოეული სტრუქტურული ერთეულის დატვირთვა და მუშაობის ეფექტურობა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ახალი წესდების პროექტი.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა: აკადემიის რექტორი, რექტორის მოადგილეები, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

წესდების პროექტის თანახმად იცვლება წესდების მე-6 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიის სტრუქტურა.

ცვლილება შედის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში, სადაც ხდება საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის გაყოფა ორ ფაკულტეტად: ნავიგაციის ფაკულტეტი და საინჟინრო ფაკულტეტი. ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არის სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრად მზარდი სტატისტიკა. აკადემიის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია გაიმიჯნოს ფაკულტეტები, მათი ფუნქციები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციები ამ ფაკულტეტებზე არის

ND 2-006-03
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №12
რევიზიის თარიღი 07.02.2020
მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლებს დოკუმენტის არაერთი ნაწილი ანუ ის არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ანუ დიაგნოზის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლებს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



სხვადასხვა: ნავიგაციის ფაკულტეტის შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის - „საზღვაოსნო მეცნიერების ბაკალავრი“, ხოლო საინჟინროს შემთხვევაში - „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში“ და „ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ელექტრონიკაში“ (გემის მექანიკისა და გემის ელექტრომექანიკის საგანმანათლებლო პროგრამებზე). ფაკულტეტის გაყოფა ასევე ხელს შეუწყობს შესაბამისი მიმართულებების უფრო ეფექტურ განვითარებას. თითოეული ფაკულტეტი კონკრეტული იქნება კონკრეტულ მიმართულებაზე, მისი ადმინისტრაციული მართვა იქნება მარტივი. ასევე გაყოფის შედეგად იგეგმება ცალკეულ მიმართულებებზე უფრო გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, გაძლიერდება შესაბამისი აკადემიური სასწავლო დეპარტამენტები, რომელთა ჩაშლა მოხდება ფაკულტეტებზე დღეის მდგომარეობით აკადემიური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა არ არის საშტატო ნუსხაში გათვალისწინებული და არაანაზღაურებადი. ცვლილების შედეგად შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირების თანამდებობა იქნება საშტატო ნუსხაში განსაზღვრული და განისაზღვრება შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში ცვლილებები განპირობებულია ეფექტური მართვისა და ავტორიზაციის სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე ცვლილების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია სტუდენტთა კონტიგენტის მკვეთრი ზრდა, რამაც გამოიწვია ადმინისტრაციული რესურსის ოპტიმიზება, და სრულყოფილად სტუდენტთა საჭიროებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ხდება შემდეგი ცვლილებების გატარება:

ცვლილების შესაბამისად უქმდება ISO ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციები გაერთიანდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს ერთი სტრუქტურული ერთეული.

იქმნება პროექტების მართვისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება კვლევითი საქმიანობის, მათ შორის საგამომცემლო და საგრანტო საქმიანობის გაძლიერება, ახალი დაფინანსებისა და გრანტების მოძიება, უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სხვა სახელმწიფოების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მოძიება და მათზე მუშაობის ორგანიზება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზღვაო აკადემია უკვე მუშაობს ფლესნბურგის უნივერსიტეტთან (გერმანია) და პლიმუთის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც თავისთავად მოითხოვს შესაბამის კვალიფიციურ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს.

წინამდებარე პროექტის შესაბამისად მოხდება იურიდიული დეპარტამენტისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის გამიჯვნა, რაც გამოწვეულია ეფექტური ადმინისტრირების უზრუნველყოფის მისაღებად. საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნია სხვადასხვა კატეგორიის პერსონალი - აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები, მოწვეული (შტატგარეშე თანამშრომლები), რომელთათვისაც ინდივიდუალურად ხდება სამუშაო დებულებებისა და ინსტრუქციების გაწერა, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები მკაცრად არის დარეგულირებული საქართველო კანონმდებლობის საფუძველზე, ასევე რეგულირდება შიდა

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩათვლიან დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ ის არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასევე დაცემულ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მთავრობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი ჩათვლიან როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სასაბუთო პასუხისმგებლობას არ აქვს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



დებულებებით და სამართლებრივი აქტებით და შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განცალკევდეს იურიდიული დეპარტამენტი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რაც საშუალებას მისცემს აკადემიას უფრო ეფექტურად განახორციელოს შიდა და გარე ნორმატიული აქტების შემუშავება/იმპლემენტირება და ადამიანური რესურსის მონიტორინგი/მართვა.

ცვლილების პროექტის შესაბამისად ასევე უქმდება მაგისტრატურის სამსახური. სამსახური უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებას, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობას როგორც პედაგოგების მოწვევის პროცესში, ასევე სტუდენტებთან ურთიერთობის პროცესში და მათთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობის დონე ეცემა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გაუქმდეს მაგისტრატურის სამსახური და შესაბამისი ფუნქციები გადაინაწილდეს ფაკულტეტებზე.

ასევე უქმდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. აღნიშნულ მომსახურებას საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს მომსახურების ხელშეკრულებით (სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით), რაც მნიშვნელოვანი ეკონომიის საფუძველი იქნება. როგორც მოგეხსენებათ საზღვაო აკადემიის სასწავლო კომპონენტების დიდი ნაწილი ხორციელდება სიმულატორებსა და ლაბორატორიებში, რისთვისაც აკადემიას უკვე ყავს შესაბამისი ინსტრუქტორები და მწვრთნელები, ამიტომ აღნიშნული სასწავლო კომპიუტერული აღჭურვილობისათვის არ საჭიროებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ცალკე არსებობას.

ცვლილება შედის ასევე საფინანსო-ეკონომიკურ ნაწილში, კერძოდ, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის შემადგენლობიდან გამოდის მატერიალური რესურსების სამსახური და ცალკე სტრუქტურად ყალიბდება, როგორც - ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახური. განცალკევების მიზანია საქმიანობის ეფექტური წარმატვა, დაგეგმვა და შემდგომი მონიტორინგი.

პროექტის შესაბამისად უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის კონტროლის სამსახურის ცვლილება იგეგმება. ცვლილების თანახმად აღნიშნული სამსახური შეითავსებს როგორც სასწავლო პროცესში სტუდენტთა წესრიგის ზედამხედველობას, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე მათი მარშირების, სწრებადობისა და უნიფორმის ტარების მონიტორინგს. ასევე იქმნება შრომის უსაფრთხოების სამსახური და აღნიშნული სამსახურის ფუნქციები ასევე დაევალება ამ სამსახურს, ხოლო სამსახურის სახელწოდება განისაზღვრება შემდგომად: შინაგანაწესის კონტროლისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 1 სექტემბრიდან აკადემიას ევალება გააჩნდეს შესაბამისი ფუნქციების მატარებელი სამსახური, არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შემადგენლობით.

ცვლილება შედის ასევე წესდების მე-7 მუხლში. როგორც მოგეხსენებათ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მკაცრად არის გამიჯნული აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობა და შესაბამისად ფუნქციები გადანაწილებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს შორის. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე იმ გარემოების

ND 2-006-03
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №12
რევიზიის თარიღი 07.02.2020
მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩათვლიან დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ ის არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ანუ დიაგნოზა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩათვლიან როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახურის პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდიზე www.office.bma.edu.ge



გათვალისწინებით, რომ „მეზღვაურთა დანათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საზღვაო აკადემიას აქვს განსხვავებული სტრუქტურა, ადმინისტრაციული საქმიანობა გადანაწილებულია რექტორის მოადგილეებზე. რექტორის შიდა ბრძანებით განსაზღვრულია რექტორის მოადგილეების, მათ შორის პირველი მოადგილის უფლებამოსილებები. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად რექტორის პირველი მოადგილე არის პასუხისმგებელი ფინანსურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაზე, შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წესდებაში გაიმიჯნოს უფლებამოსილებები.

ცვლილების შესაბამისად რექტორის მოადგილეების რაოდენობა იცვლება და ნაცვლად სამისა, რექტორს ეყოლება 4 მოადგილე (მათ შორის პირველი მოადგილე). ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აკადემიის ადმინისტრაცია სტუდენტთა რაოდენობასთან ერთად იზრდება. ასევე იზრდება აკადემიის მიერ დასახული მიზნების არეალი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა საერთაშორისო ურთიერთობებს და განათლების ინტერნაციონალიზაციას. იგეგმება უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე იგეგმება უცხოენოვანი პროგრამების დაგეგმვა. შესაბამისად დადგა საიჭიროება იმისა, რომ რექტორის მოადგილეების რაოდენობა გაიზარდოს და ცვლილების შემდეგ ინტერნაციონალიზაციისა და საგარეო ურთიერთობების კურირება დაევალება ერთ მოადგილეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად მოხდება კადრების ოპტიმიზაცია და ადმინისტრაციული რესურსის უფრო ეფექტური გადანაწილება.

საორგანიზაციო სტრუქტურა განთავსებულია ვებგვერდზე.

საზღვაო აკადემიის სრული სტრუქტურა: <https://bsma.edu.ge/upload/Geo%20long2020.jpg>

საზღვაო აკადემიის მოკლე სტრუქტურა: <https://bsma.edu.ge/upload/Geo%20short2020.jpg>

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლებს დოკუმენტის არეორთი ნაშედი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვე ვეზლი“ რევიზია ასლზე დიატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხილვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლებს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



ახალი პროცედურები, დებულებები

2019 წ.

1. შეუსაბამოთა კორექტირების გეგმა ND 2-Q05-02 28.02.2019/28-29.05.2019;
2. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიში ND 2-O06-03 15.02.2019;
3. მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის დებულება ND 2-P07 15.02.2019;
4. მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი საწვრთნელი კურსების მსმენელთა მომზადების, შეფასების წესისა და ტესტირების ჩატარების პროცედურა ND 2-F01 15.02.2019;
5. წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკის (Training Record Book) მართვის წესი ND 2-F21 03.04.2019;
6. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი ND 2-O28 03.04.2019;
7. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი ND 2-O15 28.01.2019/ 26.07.2019;
8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი და საარჩევნო პროცედურა ND 2-O04-01 23.04.2019;
9. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა ND 2-O04-02 23.04.2019;
10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა ND 2-O04-03 23.04.2019;
11. გამოცდების ჩატარების და შეფასების პროცედურა ND 2-F06 23.04.2019/ 23.08.2019;
12. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვების და შეფასების წესი ND 2-F17 23.04.2019;
13. შინაგანაწესი ND 2-O02 03.04.2019;
14. შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტების ფონდი ND 2-Q05-01 29.05.2019/ 23.08.2019;
15. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი ND 2-O21 29.05.2019/ 26.07.2019;
16. შიდა აუდიტის ჩატარების პროცედურა ND 2-Q04-03 05.06.2019;
17. დოკუმენტის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01 05.06.2019;
18. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02 05.06.2019;
19. განვითარების სტრატეგიული გეგმა (2018-2024 წწ.) 26.07.2019;
20. ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროცედურა ND 2-Q05-06 05.06.2019;
21. შეუსაბამობების პროცედურა ND 2-Q04-04 05.06.2019;

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშენი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



22. სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცედურა ND 2-F02 26.07.2019;
23. მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების მართვის პროცედურა ND 2-Q04-05 05.06.2019;
24. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ND 2-F08 26.07.2019;
25. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი ND 2-F09-01 26.07.2019;
26. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09 26.07.2019;
27. მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი ND 2-O04-06 26.07.2019;
28. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა ND 2-O09 26.07.2019;
29. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 26.07.2019;
30. ელექტრონული საქმისწარმოების წესი ND 2-O12-1 23.08.2019;
31. პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების პოლიტიკა ND 2-Q01-02 26.07.2019

2020 წ.

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა ND 2-Q03/1 03.01.2020
2. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი ND 2-O04 28.02.2020;
3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა ND 2-O04-02 31.12.2020;

მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი

1. სპეციალური ანკეტა-კითხვარების შევსების გზით საზღვაო აკადემია ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შეფასებას. საზღვაო აკადემიის მომხმარებლები არიან საზღვაო ინფრასტრუქტურის დაწესებულებები და სამსახურები, საზღვაო კრუინგული კომპანიები.
2. კითხვარები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე, მისამართზე - www.bsma.edu.ge. დაინტერესებულ პირებს დაეგზავნათ შეტყობინება გამოკითხვების დაწყების შესახებ.

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედი არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშენი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დიაგნოზა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. აღნიშნული ეტაპისთვის 2019 წ. გამოკითხვის პროცესის შედეგების ანალიზი დასრულებულია და მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებლების შედეგები განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე.
4. ყველა ზემოთაღნიშნული გამოკითხვა დასრულებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის აკადემიის ვებგვერდზე.

კვლევები:

ადმინისტრაციული	პერსონალის	გამოკითხვის	შედეგების	ანალიზი:
https://bsma.edu.ge/upload/Administration2019.pdf				
აკადემიური	პერსონალის	გამოკითხვის	შედეგების	ანალიზი:
https://bsma.edu.ge/upload/Academic2019.pdf				
სტუდენტთა	ზოგადი	გამოკითხვის	შედეგების	ანალიზი:
https://bsma.edu.ge/upload/Students2019.pdf				

ავტორიზაცია - რეკომენდაციების შესრულების ანგარიში უსდ

2018 წლის 1 სექტემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს №58 გადაწყვეტილებით საზღვაო აკადემიას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 1 წელი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეიქმნა „ 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ-პროფესიული), რომელიც დამტკიცდა 2018 წლის 19 სექტემბერს აკადემიის სენატის მიერ - გადაწყვეტილება №12/16 და ორიენტირებულია 2 წლის ვადაში ავტორიზაციის მონიტორინგის მიზნით შედეგების მიღწევაზე. გეგმის თანახმად, თითოეულ რეკომენდაციაზე განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ეტაპობრივად განხორციელდა მოქმედი და ახალი წესების, რეგულაციებისა და დებულებების ანალიზი. რენეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა მოქმედი რეგულაციების განახლებული პროექტები. 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანება №01-33-ის საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიის რედაქტირების მიზნით. სამუშაო ჯგუფის წევრების კრიტიკული შენიშვნებისა და შემოთავაზებების საფუძველზე ჯგუფმა შეიმუშავა მისიის განახლებული რედაქცია, რომელიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ წარუდგინა დასამტკიცებლად საზღვაო აკადემიის სენატს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო პროცესის მართვის, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების ცალკეული მექანიზმების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის წესებს. მოქმედი მეზღვაურების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა ინიდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების წესები. განისაზღვრა ზუსტი სამიზნე ნიშნულები აკადემიური და მოწვეული

ND 2-006-03
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №12
რევიზიის თარიღი 07.02.2020
მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედი არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაწილი ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიონი“. რევიზია ან/და დიაგრამა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიახლოებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ან/და ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ან/და იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



პერსონალის საჭირო რაოდენობის გამოსათვლელად სხვადასხვა ტიპის თანაფარდობაზე დაყრდნობით. შეიქმნა კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, შესრულების, შეფასების და მხარდაჭერის პროცედურები. განხორციელდა საზღვაო აკადემიაში მიმდინარე ფუნდამენტალური პროცესების რისკების იდენტიფიცირება და განისაზღვრა მათი შემცირების ხერხები. რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგს, შეფასებას და შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა შესრულებული აქტივობების მონიტორინგს, ამზადებდა ანგარიშს და წარუდგენდა საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციას. საანგარიშო პერიოდში სასწავლო/საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდებოდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, მოდერნიზაცია. საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკამ საქართველოს რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით მოიპოვა წვდომა Elsevier-ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით საზღვაო აკადემიამ დადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მომზადებული ანგარიშის პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა სამუშაო შეხვედრები, დაზუსტდა ანგარიშში ასახული მასალების მტკიცებულებები/ინდიკატორები და წარედგინა საზღვაო აკადემიის სენატს. გასაცნობად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეგზავნა აკადემიის პერსონალს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ავტორიზაცია - რეკომენდაციების შესრულების ანგარიში პროფესიული

2018 წლის 1 სექტემბრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს №59 გადაწყვეტილებით საზღვაო აკადემიის პროფესიულ ცენტრს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად განესაზღვრა 1 წელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეიქმნა „ 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის გადაწყვეტილების საიმპლემენტაციო გეგმა (უსდ-პროფესიული), რომელიც დამტკიცდა 2018 წლის 19 სექტემბერს აკადემიის სენატის მიერ - გადაწყვეტილება №12/16 და ორიენტირებულია 2 წლის ვადაში ავტორიზაციის მონიტორინგის მიზნით შედეგების მიღწევაზე. გეგმის თანახმად, თითოეულ რეკომენდაციაზე განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, ადმინისტრაციული და სასწავლო აკადემიური დეპარტამენტები. საიმპლემენტაციო გეგმის მიხედვით რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეტაპობრივად განახორციელა არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის, პროცედურების, წესების ანალიზი, შეიმუშავა ცვლილებათა პროექტი და წარუდგინა იურიდიულ დეპარტამენტს განსახილველად. რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის ბრძანება №01-33-ის საფუძველზე შეიქმნა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიის რედაქტირების სამუშაო ჯგუფი,

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არეორი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „აღრიცხული ვერსიის“ რევიზიატი ასლზე დიაგნოზატი პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი ბილი რევიზორზე www.office.bma.edu.ge



რომელსაც დაევალა განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების პროექტის მომზადება. პროფესიული განათლება აღიარებულ იქნა საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად და აქედან გამომდინარე, საზღვაო აკადემიის 13 სტრატეგიულ მიზანს დაემატა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული მიზნები. შემუშავდა საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების განვითარების 4 სტრატეგიული მიზანი და ჩამოყალიბდა ამ მიზნების მიღწევის ამოცანები და სტრატეგია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასწავლო პროცესის მართვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მექანიზმებს. შეიქმნა მუდმივმოქმედი პროფესიული საკვალიფიკაციო კომისია, შემუშავდა სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის მექანიზმები, დარედაქტირდა პროფესიული მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებები, დასრულდა მოდულების ადაპტირების პროცესი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის N85/ი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოდულებში. რეკომენდაციის გათვალისწინებით შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ახალი ფორმატი ერთიანი დოკუმენტის სახით. რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგს, შეფასებას და შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა შესრულებული აქტივობების მონიტორინგს, ამზადებდა ანგარიშს და წარუდგენდა საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციას. 2018 წლის 1 სექტემბრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მომზადებული ანგარიშის პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, დაზუსტდა ანგარიშში ასახული მასალების მტკიცებულებები/ინდიკატორები და წარედგინა საზღვაო აკადემიის სენატს. გასაცნობად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეგზავნა აკადემიის პერსონალს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლებს დოკუმენტის არეორთი ნაშენი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „აღრიცხული ვე ვეზლონი“. რევიზიატი ასლზე დიატანება პროფესიული სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლებს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



პროგრამული აკრედიტაცია:

2019 წლის სექტემბერში საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს : „საზღვაო ნავიგაცია“ , „გემის მექანიკა“, „გემის ელექტრომექანიკა“ 7 წლით მიენიჭა აკრედიტაცია:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 218, 28.11.2019 - საზღვაო ნავიგაცია;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 219, 28.11.2019 - გემის მექანიკა;
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 220, 28.11.2019 - გემის ელექტრომექანიკა;

აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის შეფასებით ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც წარდგენილი იყო ქართულ და ინგლისურ ენაზე აკმაყოფილებდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს, საზღვაო აკადემიას გააჩნია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი თანამედროვე, მუდმივად განახლებადი ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები, დარგობრივი კაბინეტები, სასწავლო-სადემონსტრაციო მოწყობილობები, სიმულატორები, სასწავლო სახელოსნოები, და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სიალბუსები შედგენილია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ-კურსების (IMO Model Course A-II/1, A-II/2, A-II/3) შესაბამისად.

საკრედიტაციო განაცხადი ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე

საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე შეიქმნა „საზღვაო ნავიგაციის“ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისთვის მომზადების სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფი გეგმავდა და კოორდინირებას უწევდა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ანალიზი, თვითშეფასების ანგარიშის დაწერა და ინგლისურ ენაზე თარგმნა, საჭიროებისამებრ ფუნდამენტალური და ორგანიზაციული პროცედურების რედაქტირება,

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლებს დოკუმენტის არავითარ ნაწილში ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ან სხვა დაცემის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ანალოგიური რევიზია „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანალოგიური ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების სამსახურებრივი ინსტრუქციების შექმნა, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის პირადი საქმეების შეგროვება/ანალიზი, აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის აღწერა და შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი. პროგრამის ხელმძღვანელების კოორდინირებით პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მოამზადა სასწავლო კურსების სილაბუსები და სრული კომპლექტი წარუდგინა აკრედიტაციისთვის მომზადების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს. 2020 წლის 17 იანვარს სამუშაო ჯგუფმა დაასრულა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა და საბოლოო ვერსია წარუდგინა საზღვაო აკადემიის სენატს გასაცნობად და შესათანხმებლად, რომლის შემდეგ, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზღვაო ნავიგაცია“ და მისი თანდართული მასალები აკრედიტაციის განაცხადის მომზადებისა და შესაბამისი წარმოების დაწყების მიზნით გადაეცა საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საზღვაო აკადემია ოფიციალურად ცნო აკრედიტაციის მაძიებლად. ექსპერტთა ვიზიტი ინგლისურენოვან პროგრამაზე იგეგმება გაზაფხულზე.

ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს

2019 წლის 16 იანვრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 11 გადაწყვეტილებით საბაკალავრო პროგრამას „ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია“ მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. დაწესებულებას დაევალა შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის წარდგენა 6 თვის განმავლობაში. არსებული მდგომარეობის ანალიზის მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რეკომენდაციებზე მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება. თითოეულ რეკომენდაციაზე განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობა და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. მაკორექტირებელი გეგმის შემუშავებას და ეფექტურ განხორციელებას კოორდინაციას უწევდა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი ერთობლივად. სასწავლო კურსების წინაპირობების ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, დაზუსტდა სასწავლო კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, შესაბამისად ცვლილებები აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად დაკორექტირდა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. ასევე გათვალისწინებული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. აუნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2023

მოქმედებს არ ჩათვლიან დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ანუ დაცემის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოახლოვნი. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩათვლიან როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



ადამიანური რესურსი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, დამსაქმებლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან, რათა გაიზიაროს საუკეთესო პრაქტიკა და გამოიყენოს სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის საბიბლიოთეკო ფონდისთვის დაიგეგმა სასწავლო ლიტერატურის შეძენა და ელექტრონული რიდერების შინაარსობრივად გამდიდრება. რეკომენდაციების ან/და რჩევების შესრულების მტკიცებულებები ასახულია ზოგადსაინჟინრო დისციპლინათა დეპარტამენტის, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის და აკადემიის სენატის სხდომის ოქმებში. ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი ანგარიშის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

2019 წლის 10 აპრილის ბრძანებით №69/წ დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. კლასიფიკატორით დადგინდა 11 ფართო სფერო, 29 ვიწრო სფერო, 80 დეტალური სფერო. საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს დეტალურ სფეროში არსებულ კლასიფიცირებულ სწავლის სფეროებს. განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების ახალ კვალიფიკაციის ჩარჩოზე და სწავლის სფეროების კლასიფიკატორზე გადასვლის ვადა 2020 წლის 30 სექტემბერი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელდა დადარებითი ანალიზი ახალ კვალიფიკაციის ჩარჩოზე დადასტურდა მისანიჭებელი კვალიფიკაციები. მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გადაწყობა 3 შედეგზე : ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა . სასწავლო კურსის სილაბუსების ავტორები ეტაპობრივად განახორციელებენ ცვლილებებს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში ახალი სტანდარტების მიხედვით. პროცესი დასრულდება 2020 წლი აგვისტოში.

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშედი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასევე დაცემულ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ახალი ბილით ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



პროექტების მართვა და ინტერნაციონალიზაცია

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო პროექტებისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელდა უცხოელი პარტნიორების ვიზიტები, საზღვაო აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო ვიზიტები და სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტების საერთაშორისო მობილობა.

2019 წელს სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა დაახლოებით 20 მდე ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორი.

- 2019 წლის 26 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შუამდგომლობით, საზღვაო აკადემიას ევროკომისიის წარმომადგენლები ეწვივნენ. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტები საქართველოს დაეხმარებინან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად დირექტივების იმპლემენტაციასა და საზღვაო სტრატეგიის შემუშავებაში.
- 2019 18 მაისს-24 მაისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ვროცლავის უნივერსიტეტთან პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა უცხო ენათა ინსტიტუტის პროფესორი ლეხ ჟაბორი. ლეხ ჟაბორმა უცხო ენათა დეპარტამენტისათვის გამართა მეთოდოლოგიური სემინარი სპეც. ინგლისურის სწავლებაზე. ასევე, საზღვაო საინჟინრო და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ლეხ ჟაბორმა გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „სპეც. ინგლისურის მნიშვნელობა პროფესიული წარმატებისათვის“.
- 2019 წლის 25 ივნისს გაფორმდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ფლენსბურგის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი მიზნად ისახავდა „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის („საზღვაო ნავიგაცია“, „გემის მექანიკა“) სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას ორმაგი დიპლომირებისთვის, რაც ასევე ითვალისწინებს საზღვაო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებას, ტრენინგებს სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიაში, ფლენსბურგის უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტებსა და ლექციებს სტუდენტთათვის“.
- 2019 წლის 25-30 ივნისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოეწყო საზაფხულო სკოლა, სადაც სტუდენტებს ბულგარეთიდან და თურქეთიდან ჩაუტარდათ ლექციები, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის სემინარები. ხუთი დღის განმავლობაში უცხოელმა სტუდენტებმა დაათვალიერეს საზღვაო აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკულად გამოსცადეს აკადემიის სიმულაციური დანადგარები.
- 2019 წლის 31 ივლისს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისგანმართა მრგვალი მაგიდა - დისკუსია თემაზე: „საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია - ევროპული

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩათვლიან დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ანუ დიატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩათვლიან როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახურის პასუხისმგებლის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდიზე www.office.bma.edu.ge



გამოცდილება და საქართველო“. ღონისძიებას ესწრებოდნენ საზღვაო აკადემიის სტუდენტები, პროფესორ მასწავლებლები, სახელმწიფო დაწესებულებების და ბიზნეს სექტორის ლოჯისტიკის სფეროს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: - საერთაშორისო პროექტის- Master in SMARt transport and LOGistics for cities / SMALOG -ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებანი და შესრულებული სამუშაოები.

- 2019 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას ესტონეთის საზღვაო მექანიკოსების ასოციაციის წარმომადგენლები ეწვივნენ. აღნიშნულ შეხვედრაზე საზღვაო აკადემიის გემის მეზანიკის დეპარტამენტთან მხარეებმა დასახეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, რაც გულისხმობდა გამოცდილების გაზიარებას, სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევითი კომპონენტის დამუშავებას ვიზიტის ფარგლებში, ესტონეთის საზღვაო მექანიკოსების ასოციაციის წარმომადგენლები გემის მექანიკოსის სპეციალობის სტუდენტებს შეხვდნენ, გაუზიარეს მათ გამოცდილება და ამ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე გაამახვილეს ყურადღება.
- 2019 წლის 4 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრა DAAD-ის ოფისის წარმომადგენელთან ქ-ნ მახი ბორნმანთან. შეხვედრის მიზანი იყო აკადემიის სტუდენტებისა და თანამშრომლების გაცნობა DAAD-ის გაცვლითი პროექტების, საზაფხულო სკოლებისა და სხვა საგრანტო პროგრამების შესახებ.
- 2019 წელს საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალი აქტიურად იღებდა მონაწილეობას საერთაშორისო მობილობაში, რომელიც მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და საერთაშორისო გამოცდილების მიღების მიზნით განხორციელდა.
- 2019 წელს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა განხორციელდა უცხო ქვეყნის 10 უმაღლეს სასწავლებელში. აღნიშნული მობილობები ემსახურებოდა, როგორც აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების მიღებას.

საერთაშორისო კონფერენციები

2019 წლის 23-25 სექტემბერს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ უმასპინძლა საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ლექტორთა ასოციაციის რიგით 26-ე კონფერენციას. საერთაშორისო საზღვაო ლექტორების ასოციაცია - IMLA - აერთიანებს საზღვაო ლექტორებს მსოფლიო მასშტაბით. კონფერენციის მონაწილეებმა შეძლეს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საზღვაო სფეროში არსებული მიღწევები, პროფესიული გამოცდილება, გამოწვევები, და დასახეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. აღნიშნული კონფერენცია სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასევე, IMLA-ს

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაწილი ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ან/და დიაგნოზა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ან/და ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიერის სამსახური პასუხისმგებლობის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ან/და იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



ფარგლებში გაიმართა იაპონელ მეზღვაურთა ჯგუფის (Hato-Kai) ფოტო-გამოფენა სახელწოდებით: "Beyond the Horizon".

ელექტრონული საქმისწარმოება

საზღვაო აკადემიაჩართულია საჯარო რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში „დეს“ (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა). პროგრამაში ჩართულია ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სრული შემადგენლობა. ყველა სახის ბრძანება, შიდა და გარე კორესპონდენცია მზადდება, რეგისტრირდება და ეგზავნება ადრესატებს ელექტრონულად,

საანგარიშო პერიოდში აკადემიის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირდა:

- შემოსული კორესპონდენცია - 9938;
- გასული კორესპონდენცია - 5736;
- შიდა მიმოწერა - 3215;
- ბრძანება სტუდენტების შესახებ - 567;
- საკადრო (დანაშენა -გათავისუფლება) – 353;
- საკადრო (მივლინება შვებულება) – 431;
- ადმინისტრაციული - 174;
- პროფესიული მომზადების ცენტრი - 38;

დიპლომირება

2019 წელს გაცემული დიპლომების სტატისტიკა

№	საგანმანათლებლო პროგრამა	კურსდამთავრებულთა რ-ბა
1	საზღვაო ნავიგაცია	190
2	გემის მექანიკა	64
3	გემის ელექტრომექანიკა	22
4	ნავსადგურებისა და სატრანსპორტო ტერმინალების ექსპლუატაცია	4
5	„ბიზნესის ადმინისტრირება“ კონცენტრირებული კომპონენტი „მენეჯმენტი-საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა“	55

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაწილი ანუ ის არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვე ვებლარი“. რევიზია ასევე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მთავრობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ ეღობ. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bma.edu.ge



6	„ბიზნესის ადმინისტრირება“ კონცენტრირებული კომპონენტი „მენეჯმენტი-ნავსადგურის მენეჯმენტი“	16
7	„ბიზნესის ადმინისტრირება“ კონცენტრირებული კომპონენტი „ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი“	3
8	„მენეჯმენტი - საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და ლოჯისტიკა“	6
9	„ტურიზმი - საკრუიზო ტურიზმის მენეჯმენტი“	23
	სულ	383 - ბაკალავრი

შესყიდვები

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ყოველწლიურად სასწავლო და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლებას და პროფესორ მასწავლებლების გადამზადებას/ტრენინგს. საანგარიშო პერიოდში აკადემიის მიერ შესყიდულია სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო საქონელი/მომსახურებები, რომელიც დეტალურად აღწერილია ანგარიშში.

- სხვადასხვა გეოგრაფიული ერთეულის საგზაო, სატრანსპორტო,სარკინიგზო, გეოლოგიური და პილიტიკური რუკების შესყიდვა.
- აკადემია ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასვა ჟურნალ გაზეთების და პერიოდიკის შესყიდვას. მოწოდება ხორციელდება ყოველთვიურად.
- სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის აკადემია გაწევრიანებულია საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმში, რის საფუძველზეც აკადემიის ბიბლიოთეკას ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკისათვის -eIFL” და სხვადასხვა ელექტრონული რესურსები.
- აკადემიაში დანერგილია სასზღვაო ინგლისური ენის სწავლების Marlins-ის მიერ აღიარებული ცენტრი, რომლისთვისაც 2019 წელს შესყიდული იქნა 200 ცალი საზღვაო ინგლისური ენის ტესტი.
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ გაიარა (რეაკრედიტაცია ყოველ 4 წელიწადში) The Nautical institute - საზღვაო ინსტიტუტიდან აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრში არსებული დინამიური პოზიციონირების DP სასწავლო კურსის სავალდებულო რეაკრედიტაციის აუდიტი; ხელმ: N76, რის საფუძველზეც საწვრთნელმა ცენტრმა

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არეორთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიონი“. რევიზია ასლზე დაცემის პირობებზე პასუხისმგებელი პირის მოახლოებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიზის სამსახური პასუხისმგებლობის არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- გააგრძელა მეზღვაურთა გადამზადება და შემდგომი სერთიფიცირება დინამიური პოზიცირებაში (DP) The Nautical institute საზღვაო ინსტიტუტის მიერ აღიარებული სასწავლო კურსის შესაბამისად.
- სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ სასწავლო კორპუსის N2-ში განთავსებული სამანქანე განყოფილების ლაბორატორიის მოწყობისათვის შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.
 - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისათვის ქართული ენის გრამატიკის და აკადემიური წერის ლიტერატურის შესყიდვა.
 - ვროკავშირის განათლების, აუდიოვიზუალის და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოსგან, რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის მეშვეობით სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“-ზე გამოყოფილი გრანტის ფარგლებში (გრანტის რეგისტრაციის N1616. 26.07.2018 წ.) აკადემიამ სასწავლო და კვლევითი საქმიანობისათვის შეიყიდა კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები.
 - ტახომეტრი, ხის მასალა, ვენტილატორი, გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ანონიმეტრის შესყიდვაზე და სხვადასხვა საქონელი, რომელი გამოყენებულ იქნა „ქარის ენერგეტიკული დანადგარი“ ლაბორატორიული კვლევისათვის. ხელშ: N159, N160, N161, N163, N164, N200.
 - საზღვაო აკადემიაში განხორციელდა სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსებში შემავალი, კაბინეტების, აუდიტორიების, ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის ხანძარსაწინააღმდეგო სასიგნალო სისტემია მონტაჟი.
 - აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრისათვის შესყიდულ იქნა კარტოგრაფიული ელექტრონული რუქები. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, ძირითადი კორპუსის ახალ ფლიგელს ჩაუტარდა სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხანძარსაწინააღმდეგო, ელექტროობის, ინტერნეტქსელის და გათბობის სისტემების მონტაჟი), გარემონტდა აკადემიის N2 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განთავსებული სამანქანე განყოფილება ლაბორატორიის/საამქროს მოსაწყობად.
 - საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის განახლებული სასწავლო სილაბუსები/სახელმძღვანელოების შესყიდვა. ლექციების ვიზუალიზაციის უზრუნველსაყოფად შესყიდულია პროექტორის ეკრანები. სასწავლო ლაბორატორიებისთვის შესყიდულია კომპიუტერული ტექნიკა.

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არეორი ნაშედი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასევე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მთავრობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ანუ იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



ფაკულტეტების საქმიანობის მიმოხილვითი ანგარიში

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი

საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთეულები - ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამოდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე და უზრუნველყოფენ შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

წლის განმავლობაში გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით, კერძოდ: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვების შედგენა-დამტკიცება, სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო ცხრილების შედგენა-დამტკიცება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზაცია და ა. შ.

- მომზადდა და ჩატარდა პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენცია. საკვლევი თემები და პროექტები წარდგენილ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. ჩამოყალიბდა სტუდენტური და პროფესორ-მასწავლებლების კონფერენციის საორგანიზაციო და სარედაქციო კომისიები;
- შეიქმნა წარმოდგენილი საკვლევი თემების ელექტრონული ბაზა (შრომების ელექტრონული ჟურნალის) და განთავსდა აკადემიის ბიბლიოთეკაში;
- ორგანიზება ჩაუტარდა საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო ტექნოლოგიურ და საცურაო პრაქტიკებს; დამსაქმებლებთან სისტემური თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება და დანერგვა;
- განხორციელდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ინიცირება და წახალისება;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალის შერჩევა-გადამზადება;
- განხორციელდა საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის პირადი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით გადამზადება-ტრენინგები;
- ჩატარდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა და შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შეფასება;
- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე 2018-2019 სასწავლო წლის აგვისტო-სექტემბერში, შიგა მოძრაობით გადმოვიდა 79 სტუდენტი; ეროვნულების გარეშე, სხვა ქვეყნის სასწავლებლებიდან გადმოვიდა 9 სტუდენტი; ხოლო აგვისტო-სექტემბერში მობილობის წესით სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან 49 სტუდენტი.

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშენი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაიტანა პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოხელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



კვალიფიკაცია მინიჭა:

- საზღვაო მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაცია (საზღვაო ნავიგაცია) მინიჭა 190 კურსდამთავრებულს;
- ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში (გემის მექანიკა) - 64 კურსდამთავრებულს;
- ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ელექტროინჟინერიაში (გემის ელექტრომექანიკა) - 22 კურსდამთავრებულს;
- ინჟინერიის ბაკალავრი (ნავსადგურებისა და სატვირთო ტერმინალების ექსპლუატაცია) - 4 კურსდამთავრებულს.

6.1.1 ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

საანგარიშო გეგმიურად მიმდინარეობდა მუშაობა სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით, კერძოდ: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვების შედგენა-დამტკიცება, სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო ცხრილების შედგენა-დამტკიცება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზაცია ასევე განხორციელდა:

- ცვლილებები შეფასების სისტემაში;
- საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები;
- მოწვეული მასწავლებლების შესარჩევი კონკურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოყვანა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან;
- დიპლომის დანართის მომზადება ახალი სტანდარტით;
- სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული სამუშაოები, პროგრამული თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დოკუმენტების მომზადება;
- ლექციებზე/სემინარულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
- სამაგისტრო ნაშრომების მომზადება და საჯარო დაცვა;
- სტუდენტთა ერთიან რეესტრში მონაცემების აღრიცხვა;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ორგანიზება;

კვალიფიკაცია მინიჭა:

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი კვალიფიკაცია მინიჭა 104 კურსდამთავრებულს;
- მაგისტრატურის 18 კურსდამთავრებულს მიენიჭა კვალიფიკაცია.

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაწილი ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასევე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოახლოებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასევე ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასევე იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

აკადემიაში სტუდენტთა მხარდაჭერასა და საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც დამხმარე სტრუქტურული ერთეული, კურირებს სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს, ასევე სხვა მოწყვლად ჯგუფებს (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან. ახორციელებს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების პროგრამულ უზრუნველყოფას, და ხელს უწყობს კურიკულუმს გარე დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტში (რეგისტრაციის გავლის დროს) ბუკლეტის სახით ღებულობს „საინფორმაციო გზამკვლევს“, რომელშიც მოცემულია ძირითადი ინფორმაცია აკადემიაში მოქმედი ქცევის, კონსულტაციის, მომსახურების, სერვისების, სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სტუდენტის ინფორმირებულობას ემსახურება სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც აერთიანებს ელექტრონულ ჟურნალს, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ელექტრონულ პროგრამას და ბიბლიოთეკის მკითხველთა ანკეტების ელექტრონულ ბაზას. აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით სტუდენტი ღებულობს ინფორმაციას საკუთარი სწავლის დაგეგმვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის. მასში მოცემულია სასწავლო კურსების, პროფესორ/მასწავლებლების, სემესტრების, წინაპირობების, საგამოცდო განრიგის, სწავლის შედეგების, ბიბლიოთეკის გამოყენების, საქმის წარმოების, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აღნიშნული სისტემის გამოყენებით შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტს ელექტრონული სისტემის მეშვეობით წვდომა აქვს შეფასებულ საგამოცდო ნაშრომთან, რომლის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას - გაასაჩივროს თუ არა შეფასება. საჩივრის

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვალოს დოკუმენტის არცერთი ნაწილი ან თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიონი“. რევიზია ახლანდელი დოკუმენტის პასუხისმგებელი პირის მოხილვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი ჩაითვალოს როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



წარდგენის შესაძლებლობა სტუდენტს აქვს აკადემიაში გამოუცხადებლად დისტანციურად ელექტრონული ფორმით.

დანერგილი სიახლეები:

- ელექტრონულ ჟურნალს დაემატა პედაგოგების მხრიდან სტუდენტთა ჯგუფზე საერთო წერილის გაგზავნის ფუნქცია.
- 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრში ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე შუალედური ტესტირება ჩატარდა 20 ქულიანი კომბინირებული სისტემით - 15 ტესტი + 5 დასაწერი დავალება. სტუდენტებს 15 ტესტის პასუხის შემდეგ მიეცათ 5 დავალება, რომელთა პასუხის გაცემა მოხდა ელექტრონული ფორმით. ტესტის პასუხი სტუდენტს ეცნობა ელექტრონულად. ნაწერი საკითხები პედაგოგებს გაეგზავნათ ელექტრონულად, არეული თანმიმდევრობით. აპელაციის მიღება და გასწორებაც მოხდა ელექტრონულად.

პროფესიული პროგრამები და პროფესიული სტუდენტები

საანგარიშო პერიოდში პროფესიული მომზადების ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

ხელშეკრულებები

- MCC-ს ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ფოთის API ტერმინალში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რამაც საფუძველი ჩაუყარა ურთიერთთანამშრომლობის მეორანდუმის შემუშავებას შეხვედრის მონაწილე სუბიექტებს შორის;
- ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და საზღვაო საკრუინგო კომპანია "INTERNATIONAL MARITIME GROUP"-ს შორის პროფესიული განათლებისა თუ დასაქმების სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლივი ორგანიზებისა და ურთიერთმხარდაჭერის მიზნით, საგანმანათლებლო, კრუინგულ და სახელმწიფო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისათვის;
- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს: სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“, „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“, „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „თეთნულდი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ შორის პროფესიული განათლების

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩათვლიან დოკუმენტის არეორი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაცემის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩათვლიან როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



პოპულარიზაციის, კურსდამთავრებულთა სტაჟირების და მათი შემდგომი დასაქმების, პროფესიული პროგრამების ხარისხის ამაღლების დარგში;

- დაიდო ხელშეკრულება 18.08.2019 N 61-17-18/i კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“-თან ამწის სიმულატორით სარგებლობაზე ტრენინგების ჩატარების მიზნით;

გადამზადება

- ჩატარდა სსიპ მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი: „ტრენინგი მოდულური სწავლების საკითხებზე დამწყები მასწავლებლებისათვის“. ტრენინგს ესწრებოდა 27 მოწვეული მასწავლებელი;
- საზღვაო აკადემიაში ჩატარდა პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და მილენიუმის საგრანტო პროექტის მენეჯერების შეხვედრა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის გენდერისა და სოციალური საკითხების ექსპერტთან ჯონ გრომთან;
- მონაწილეობა პროექტის „საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობის სწავლების გაძლიერება პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვის გზით“ - ფარგლებში, დაგეგმილ ვორქშოფში - სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება პროექტული სწავლებით და მეწარმეობის ახალი მოდულით;
- ჩატარდა მოლკევადიანი გადამზადების კურსი „ამწის ოპერატორი“. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის მოთხოვნით“. გადამზადდა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს 23 ამწის ოპერატორი და მათზე გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი 1 წლის ვადით;
- განხორციელდა მოლკევადიანი სასწავლო კურსია ამწე მანქანა-მექანიზმების მომსახურება, სატვირთო ოპერაციები და ზედამხედველობა ჩატარება შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის მოთხოვნით“. გადამზადდა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს ამწე მანქანა-მექანიზმების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი 26 მათზე გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი 2 წლის ვადით;
- სექტემბერს საზღვაო აკადემიაში განხორციელდა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის - პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული პედაგოგიური კურსის პირველი მოდული - „სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. მოდული გაიარა პროფესიული განათლების 24-მა მასწავლებელმა;
- პროფესიული მომზადების ცენტრის ბაზაზე ჩატარდა ტრენინგი კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ პერსონალისათვის ამწის სიმულატორზე. ტრენინგს ერთობლივად ატარებდნენ საზღვაო აკადემიის „ამწის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლები და ფოთის ნავსადგურის ტექნიკური სამსახურის წარმომადგენლები;
- ჩატარდა „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის დუალურ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების ტრენინგი. ტრენინგი ორგანიზებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ -ის მარდაჭერით და განათლების ხარისხის

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაწილი ანუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ანუ დაცვაზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლის არ აღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით. ტრენინგი უძღვებოდნენ GIZ ის ექსპერტი-პროფესორი გაბჰარდ ჰაფერი და თანატრენერები;
- ჩატარდა „პორტების ლოჯისტიკის მენეჯმენტი“ს დუალურ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ინსტრუქტორების ტრენინგი. ტრენინგი ორგანიზებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ -ის მარდაჭერით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით. ტრენინგი უძღვებოდნენ GIZ ის ექსპერტი-პროფესორი გაბჰარდ ჰაფერი და თანატრენერები;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლებისათვის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა - პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული პედაგოგიური კურსის მეორე მოდული - ”პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში“ - მოდული გაიარა პროფესიული განათლების 24-მა პროფესიულმა მასწავლებელმა.
 - ცენტრის სპეციალისტებმა გაიარეს ტრენინგი პროფესიული განათლების ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის საკითხებზე გერმანიის მაინცის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი მარკუს ბონერი;

გარე აუდიტი

- იანვარს განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია“ და „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით;
- განხორციელდა „პორტის ლოჯისტიკის მენეჯმენტის“ IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე აუდიტი Pearson education-ის ექსპერტის პენელოტა ვიგმორის მიერ;
- განხორციელდა „ამწის ოპერირების“ III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე აუდიტი Pearson education-ის ექსპერტის საიმონ ტოპლისის მიერ;
- განხორციელდა „შედულების“ III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე აუდიტი Pearson education-ის ექსპერტის სტივენ სინგლტონის მიერ;
- განხორციელდა „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე აუდიტი Pearson education-ის ექსპერტის იან რიდის მიერ;
- განხორციელდა „შედულების“ IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე აუდიტი Pearson education-ის ექსპერტის სტივენ სინგლტონის მიერ;

ND 2-006-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაიტანება პროფესორ პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



კვლევები

- პროფესიული მომზადების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამუშაო შეხვედრაში მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებით. მათ შორის: პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი, ფორმალური განათლება ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი;
- ჩატარდა პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა MCA_GORBI საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის „გორბი“ ს- წარმომადგენლების მიერ. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო პროფესიული ტესტირებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები;

კვლითი კვლევა:

- 14.05.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ 10 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;
- 15.05.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო ლოგისტიკის ოპერირება“ 5 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;
- 11.06.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ 17 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;
- 16.08.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ 13 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;
- 12.09.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ 12 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;
- 17.09.2019 - პროფესიული მომზადების ცენტრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“ 8 სტუდენტს მიენიჭა პროფესიული კვალიფიკაცია;

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არაერთი ნაშედი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაცემის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხელის, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



ბიბლიოთეკა

2019 წლის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად აკადემიის ბიბლიოთეკამ შეასრულა შემდეგი მიმდინარე სამუშაოები: აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სისტემატიზირება, წიგნადი ფონდის განვითარების სამუშაოები, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების განახლება, პერსონალის ტრენინგი, ელექტრონული კატალოგის წარმოება, პერსონალის ტრენინგი, ახალი შესაძენი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დამუშავება და ფორმირება, გამოფენების შეხვედრების ორგანიზება, აკადემიის თანამშრომელთა გამოცემული ლიტერატურის პრეზენტაცია და სხვ.

2019 წ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო 200 წიგნადი ერთეულით. მოხდა აღნიშნული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული დამუშავება, მომზადდა კატალოგები, დამუშავებული ლიტერატურა საინფორმაციო სისტემით ეცნო ბიბლიოთეკის მომხმარებლებს.

პარალელურად მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის განახლება და ფორმირების სამუშაოები. შემუშავდა ახალი შესაძენი ლიტერატურის ჩამონათვალი-კონსოლიდირებული სია. რომელთა შედგენაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიის აკადემიური პერსონალი. სატრენაჟორო ცენტრი, ფაკულტეტები და რექტორატი. 2020 წლისათვის გამზადებული ლიტერატურა თვისებრივად შეცვლის ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შინაარსსა და სისტემას.

ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა შიდა ელექტრონული რესურსების ფორმირების საკითხებზე. რეალურად შეიქმნა შიდა ელექტრონული მიწოდების პერსონალური სისტემა, რომელიც პერსონალური ინფორმაციის წესების დაცვის საფუძველზე უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მომხმარებელთა შიდა ელექტრონული რესურსების გამოყენებას. განახლდა სილაბუსები, სალექციო კურსები, პროფესიული და საბაკალავრო პროგრამების სასწავლო ლიტერატურა. გადამოწმდა ელექტრონული რესურსების შესაბამისობა სასწავლო სილაბუსებთან მიმართებაში.

2019 წელს ბიბლიოთეკამ საქართველოს რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით მოიპოვა წვდომა ELSEVIER- ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან. ხელშეკრულება გაფორმებულია. აღნიშნულთან დაკავშირებით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის პერსონალს ჩაუტარდა სამუშაო შეხვედრა ELSEVIER-ის ბაზების წვდომასა და გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისში.



2019 წლის ივლისში ბსსა-ს ბიბლიოთეკის პერსონალმა, ბსსა-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრები ELSEVIER-ის ბაზების წვდომასა და გამოყენებასთან დაკავშირებით .

ბსსა ბიბლიოთეკაში პერიოდულად მიმდინარეობს პერსონალის ტრენინგი. აკადემიის ხელმძღვანელობა ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული. ტრენინგები ტარდება როგორც ბსსა ბიბლიოთეკის ბაზაზე ასევე საქართველოს წამყვანი სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.

ბსსა ბიბლიოთეკაში 2014 წელს დაინერგა ელექტრონული საერთაშორისო კატალოგი evergreen MARK 21 ბაზაზე. ბიბლიოთეკის პერსონალი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს აღნიშნულ კატალოგში როგორც ჩვენი წიგნადი ფონდის , ასევე ლიცენზირებული ელექტრონული წიგნების თუ პროგრამების შეყვანას.

აკადემიის ბიბლიოთეკა წლის დასაწყისში ახორციელებს მომხმარებელთა ხელახალ რეგისტრაციას , ასევე სასწავლო წლის დასაწყისში ხორციელდება პირველკურსელთა რეგისტრაცია. მკითხველთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში.ამჟამად აკადემიის ბიბლიოთეკაში დარეგისტრირებულია 2900 მკითხველი. რაც ჩვენი სასწავლებლის სტუდენტთა და პერსონალის 82% შეადგენს.

პერიოდულად ბიბლიოთეკას მოეწოდება ახალი ლიტერატურა, სამეცნიერო ბაზები და სხვა ელექტრონული ბაზები და რესურსები .ბიბლიოთეკაში შექმნილია კეთილგანწყობის გარემო.ტარდება ღონისძიებები , რომელიც მიმართულია ქართული წიგნისა და მხატვრული სიტყვის პოპულარობის მიზნით.

ფაკულტეტებთან თანამშრომლობით ბიბლიოთეკის პერსონალი აქტიუტად მუშაობს სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობაზე ბიბლიოთეკის წიგნად და ელექტრონული ფონდებთან.. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სულ ჩატარდა 40-მდე სხვადასხვა ღონისძიებები . 2019 წელი ნაყოფიერი გახლდათ ბსსა ბიბლიოთეკისათვის . გეგმით დასახული ღონისძიებები შესრულდა 80% . აღნიშნულ პრობლემებზე მიმდინარეობს სისტემატიური მუშაობა. ბიბლიოთეკა საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას , დამატებით სივრცესა და საინფორმაციო რესურსებს , რაც გათვალისწინებული იქნა 2020 აკადემიის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

ND 2-006-03
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №12
რევიზიის თარიღი 07.02.2020
მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არეორთი ნაგები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია ან „აღრიცხული ვერსიის“ რევიზია ასლზე დიაგნოზა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის სამსახური პასუხისმგებლობას არ ატებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



დანართი - 1 სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი

გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ექზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით.

ND 2-O06-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №12

რევიზიის თარიღი 07.02.2020

მოქმედებაშია 25.01.2003

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიზია ნაშენი ახლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ექზემპლარი“. რევიზია ასევე დაიტანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოხიბვლით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი ახლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge